ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2892962

ნომერი: AR1445943

თარიღი : 03.10.2016

გაცემის თარიღი : 17.10.2016

გაცნობის თარიღი : 20.10.2016

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ბაგები , წყნეთის გზატკეცილი , N 17 / ქალაქი თბილისი , წყნეთის გზატ. N15 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- მალხაზ ელიზბარაშვილი პ/ნ 01008034903
- თბილისი წყნეთის გზატ. N 19

ნომენკლატურა :

- საჯარო ინფორმაციის გამოთხოვა
- შეტყობინება არქიტექტურულ ობიექტზე

გადაწყვეტილება

სამსახურმა განიხილა თქვენი #AR1445943 ელექტრონული განაცხადი, რომლითაც ეწინააღმდეგებით ქ. თბილისში, ბაგები, წყნეთის გზატკეცილი, # 17 / ქალაქი თბილისი, წყნეთის გზატ. #15 - ში (ს/კ #01.14.07.004.066) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობას და ითხოვთ წარმოებაში დაინტერესებულ მხარედ ჩართვას.

პასუხად გაცნობებთ, რომ ქ. თბილისში, სექტორი ვაკე, ბაგები, წყნეთის გზატკეცილი, #17/ წყნეთის გზატ. #15-ში, კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკ. კოდი #01.14.07.004.066), 2016 წლის 06 ოქტომბრის #2876858 ბრძანებით შეთანხმდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტი. 07.10.2016წ. #2880630 გაიცა მშენებლობის ნებართვა.

ამასთან გაცნობებთ, რომ ქ. თბილისში, ბაგები, წყნეთის გზატკეცილი, # 17 / ქალაქი თბილისი, წყნეთის გზატ. #15 - ში (თქვენს მიერ რუკაზე მონიშნულ ტერიტორიაზე) სამსახურში ამ ეტაპზე ადმინისტრაციული წარმოება არ მიმდინარეობს.

თქვენი შეტყობინება სამსახურში მიღებულია ცნობის სახით და წარმოების დაწყებისა და საჭიროების შემთხვევაში იქნებით ინფორმირებული.

სამსახურის მიერ ზემოაღნიშნული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები გაცემულ იქნა შესათანხმებლად წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად, კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. თუმცა, თუ თვლით, რომ აღნიშნული აქტები გაყენებთ პირდაპირ და უშუალო ზიანს ან/და დარღვეულია მათი გამოცემის წესი, შეგიძლიათ გაასაჩივროთ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში. (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა #7)

თუ სამშენებლო სამუშაოები მიმდინარეობს სამსახურის მიერ შეთანხმებული პროექტის დარღვევით, სამშენებლო სამუშაოების შეთანხმებულ სამშენებლო დოკუმენტაციასთან შეუსაბამობის დადგენის მიზნით შეგიძლიათ მიმართოთ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს.

დამატებით გაცნობებთ, აღნიშნული ობიექტის სამშენებლო განვითარებასთან დაკავშირებით თვალყურის დევნება შეგიძლიათ სამსახურის ვებ-გვერდის (www.tas.ge) მეშვეობით, ინტერაქტიულ რუკაზე საპროექტო ფენის ჩართვის და ძიებაში დაინტერესებაში არსებული მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდის მითითების შემთხვევაში.